მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს.
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მ უ შ ა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

სიღნაღის მახლობლად 22 ივლისს, 30 უცნობი პირნი დაეცნენ პოსტას, მოჰკლეს პოსტალიონი და დარაჯი, დასჭრეს ორი დარაჯი, გაიტაცეს 3642 მან. და ვეჯი 1060 მან. ბოროტ მოქმედნი მიიმალნენ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; სალამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა, № 117.

№ 41 ხუთშაბათი, 27 ივლისი, 1906 წ. თბილისი № 41

**გრიგოლ დიასამიძე**, თავზარდაცემული, აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს თავის საყვარელ და ძვირფას **მეუღლის**.

## ს ო ფ ი ო დ ი ა ს ა მ ი ძ ი ს,

დიმიტრი ხიმშიაშვილის ასულის, გარდაცვალებას მკათათვის 25-ს, სალამოს 10 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.
პანაშვიდები ყოველ დღე სალამოს 7 საათზე (ოლგას ქუჩა № 4).
დაკრძალვის დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

## სოციალისტური და რევოლიუციონური სინიდისი და უსქესო არსებათა რევოლიუცია.

est-ce que les gouver nants et les exploiteurs ont la conscience?! Qu'ils y regardeut paur voir leurs monstruosité et pour s'aveugler à la lumiere de la flamme d'inevitable revolution sociale.

პროლეტარიატი და გაღატაკებული გლეხობა წელში იზნიქებოდა მონური შრომით, მის ზურგზე ბურჟუაზია ნადიმს აწყობდა პროლეტარიატის და გაღატაკებული, მშიერი გლეხის შრომის ნაყოფით მდიდრულად მორთულ და მოწყობილ სუფრაზე... მშიერი გლეხობა და პროლეტარიატი იზნიქებოდა და იგრიხებოდა, როგორც სიმშილით ისე მის ზურგზე სხვისთვის გამართულ მდიდარ სუფრის სიმძიმის ქვეშ— პროლეტარიატი და გლეხობა აჯანყდენ.

ეს მისი რევოლიუციონური სინიდისია.

ბურჟუაზია—პროლეტარიატის და მშიერი გლეხობის ზურგზე მოქეიფენი, შეჩვეულნი მათი სანადიმო სუფრის სანოვაგის და მორთულობის მშიერი მზარეულების ზანგურ მუშაობას და მონურ, უდრტვინელ, ხმა-ამოუღებელ მორჩილებას, ჯერ გაშტერდენ, შემდეგ გაოცდენ და ბოლოს მოვიდენ თუ არა გონს უხმეს მაღალი ყვირილით ბნელ საზოგადოებრივ ძალებს განთავისუფლებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ და თავიანთ საზოგადოებრივ **უსინიდისობის** დაცვისთვის საბრძოლველად.

ესეც ერთნაირი სოციალური და რევოლიუციონური სინიდისია.

თავისუფლებისთვის აჯანყებულებს წამოექომაგა სოციალ-დემოკრატია, ხელი შეუწყო თავისუფლების მებრძოლთ განთავისუფლებულიყვნენ ყვლეფისაგან და გადასახლებისაგან, მაგრამ როდესაც თავისუფლების მებრძოლთ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, მაშინ სოციალ-დემოკრატიამ ქომაგობის სასყიდლად დაადო ხალხს **ისეთი** გადასახადი, რომელიც იმოდენად აღემატება ხარისხით ძველ მყვლეფელთა გადასახადებს, რამოდენათაც სოციალ-დემოკრატიული ქომაგობის ხარისხი აღემატება ძველ ქომაგობას.

ესეც ერთგვარი სოციალური და რევოლიციური სინიდისია.

როდესაც რუსეთის თვითმპყრობელი ცენზურა, თავისუფალი სიტყვის სულთამხუთავი, ენას ჰგლეჯდა და პირს უკერავდა თავისუფლად ალაპარაკებულ მშიერ მუცლებს, როდესაც სიმუნჯე და სიპირუტყვე მოქალაქობრივ და კაცურ ღირსებად, სიქველედ, ითვლებოდა, მაშინ სოციალ-დემოკრატია და დემოკრატია ხალხთან ერთად იბრძოდა სიტყვის თავისუფლებისათვის და როდესაც პროლეტარიატზე და გლეხობაზე დიქტატურა სოციალ-დემოკრატიის და წვრილ ბურჟუაზიაზე დიქტატურა კადეტებს ჩაუვარდათ ხელში, მაშინ პირველმა ცხოვრებაში de facto და ორივემ კი პარლამენტში de fure თავისთვის დაისაკუთრეს ენის თავისუფლება არა იმოდენად ჭეშმარიტების გამოსათქმელად რამოდენადაც თავისი მოწინააღმდეგე სოციალისტურ პარტიებზე და განსაკუთრებით ანარქისტებზე ცილის წამების, ინსინუაციების, ანარქისტული მოძღვრების, დამახინჯებულად გასავრცელებლად.

ესეც ერთგვარი საზოგადოებრივი სინიდისია.

მას შემდეგ რაც გუტტენბერგმა ბნელ სახელოსნოში გამოიგონა სტამბის ასოები, ჩაამწკრივა ხის, ტყვიის სალდათებისაგან შემდგარი თავისუფლების ჯარი, რომელმაც თავის დაბადებისთანავე შეუტია მტარვალობას, ავტორიტეტს, მას შემდეგ მთავრობას და გაბატონებულ კლასსებს ისე მიაჩნიათ თავისუფლებისთვის თავდადებული პატარა ტყვიის სალდათები, როგორც ხოლერა, რომელიც სწამლავს გაბატონებულთა ტკბილ ცხოვრების სიმშვიდეს რისთვინაც ბატონები მუდამ ებრძოდენ და ებრძვიან ბეჭვდის და წერის თავისუფლებას, და როდესაც ბურჟუაზიული სოციალური ორგანიზმი დაორსულდა დემოკრატიისაგან, და ეშვა სოციალ-დემოკრატია, მაშინ ახალშობილმა თავის გაჩენის დღეიდგან, სანამ მომწიფდებოდა, იბრძოლა ბეჭვდის და წერის თავისუფლებისათვის, მაგრამ როდესაც მომწიფდა და გამოვიდა ცხოვრებაში თავისი ბრძოლის ნაყოფის გასატარებლად, მაშინ უცებ შესძულდა თავისი ძველი მოკავშირეები ტყვიის პაწაწკინა მეომრები და კალმის მჩხვლეტელი წვერები.

ესეც ერთ გვარი რევოლიუციონური სინიდია.

როდესაც რომისგან დაპყრობილი და დაჩაგრული ხალხები გაერთიანებული და გათანასწორებული შეიქმნენ რომაელების ბატონობის უღლის ქვეშ საერთო მონობაში, მაშინ რომის სააქაოს სიმძლავრის შემხედვარე მონები იმედ დაკარგული, საიქოს თავის გამარჯვებაზე გახდნენ საიქოს რევოლიუციონერები, რადგან მათ სწამდათ, რომ „ღვთის სასუფეველი დადგებოდა აუცილებლად „განგებისათა ღვთისათა", ამიტომ მათი სააქაო რევოლიუციონერობა შესდგებოდა გულზე ხელებ დაკრეფილ ბრძოლაში, სიმშვიდით ტანჯვა წვალებათა გადატანაში, **წამებულობაში სოციალურად მომქმედთ უსქესობაში**, მაგრამ დღევანდელი სოციალ-დემოკრატია მიუხედავად იმისა, რომ უარს ჰყოფს, ყველა სარწმუნოებას, საჭიროდ ხედავს გაავრცელოს თავისი სარწმუნოება, რომლითაც „სოციალიზმის მეუფება" დადგება „განგებისათა კანონთათა".

ამგვარია უსქესო არსებათა რევოლიუცია.

ერთი უმთავრესი საზოგადოებრივი უსინიდისობის „პიტომნიკი", სანერგეთ უნდა ჩაითვალოს „სახელმწიფო სამიკიტნო" (казенная винная лавка), რომლის გავრცელების და განმტკიცებისთვის ერთგულად იღვწვიან ბიუროკრატიები. ეს საზიზღარი, მახინჯი შვილი პორტსმუტის გრაფის, რომელმაც გაალატაკა რუსეთი და გამოიგონა აგრეთვე რუსეთის „პოლიტიკური დუქანი—„დუმა"—არის ბუასილით შეპყრობილი ბიუროკრატების скудоумiе-ს წყალობა. მთავრობამ „კაზიონი" ღვინის სამიკიტნოების საშუალებით მოინდომა დაეთვრო მთელი რუსეთის ხალხი და მთვრალისთვის გაეხადა, ყველაფერი, უკანასკნელი პერანგიც კი, რადგან პერანგის ამხანაგი აღარ მოეპოვებათ კნუტა-რუსეთის იმპერიაში.

კადეტებმა და სოციალ-დემოკრატებმა უნერგეს პროლეტარიატს „დუმის" თაყვანება და სიყვარული გულში, უნერგეს მთელი ორი თვის და ნახევრის განმავლობაში იმედი "დუმის„ რომელიც მისცემდა მათ სიტყვის, წერის, ბეჭდვის, კრების, ასსოციაციების, კავშირების და გაფიცვების თავისუფლებას უნერგეს ამ უფროსმა და უმცროსმა ძმებმა გლეხობას გულში ის იმედი, რომ „დუმა" განგებისითა მისითა მისცემდა გლეხობას მიწას და თავისუფლობას; მთელი ორი თვის და ნახევრის განმავლობაში ეს ორი პოლიტიკური მომღერლები უმღეროდენ პროლეტარიატს და მშიერ გლეხობას პოლიტიკურ შანსონეტს, ათრობდენ მათ და ტკბილი პოლიტიკური ზღაპრებით, ენა-მლიქვნელობით აძინებდენ პროლეტარიატის და გლეხობის

რევოლიუციონურ სინიდისს და დაქანცული პროლეტარიატი და გლეხობა შეიარაღების მეგიერად, რევოლიუციისთვის მომზადების მაგიერად პირ-დალებული შეჰყურებდენ გათაყვანებულ „დუმას“ და ამ გვარად პირ დალებული კადეტების და სოც.-დემოკრატების გალობამ ტკბილად ჩააძინა რევოლიუცია.

გაიღვიძეთ, გამოიფშვნიტეთ თვალი და დაინახავთ უსქესო არსებათა რევოლიუციას.

ალი.

---

### ჯაშუშთა ბანაკის აღმოჩენა გელათის მონასტერში.

დადგა რეაქცია თუ არა გელათის მონასტერში ბერებიც გულმხურვალედ შეუდგნენ საჯაშუშო ორგანიზაციის მოწყობას და მჭიდროდ შეკავშირებას. რაკი მათ ზურგი გაუმაგრა რეაქციამ, ხელი მიჰყვეს თავიანთ სამარცხვინო ხელობას: დანოსების გზავნას ალიხანოვთან, როგორც კერძო პირებზე, ისე მთელ სოფლებზედაც. მაგალითად, გელათის მონასტრის წინამძღვარ არხიმანდრიტ ნიკოლოზს დაუწყეს ბეზღება: აქაო და არქიმანდრიტი გლეხებში პროპაგანდას და აგიტაციას ეწევაო; გლეხებს სახაზინო და სამონასტრო მიწების გასაზოგადოებრივობაზე აქეზებსო; სხვა და სხვა გადასახადების გადაუხდელობას ურჩევსო და სხვა. თვით მშრომელ გლეხებს კი აბეზღებდენ, რომ გლეხებმა სახაზინო და სამონასტრო მიწები მიითვისესო და ჩვენ ბაჟებს აღარ გვაძლევენო და სხვა ამ გვარები. ამ ჯაშუშობამ, რა საკვირველია, გასჭრა და არხიმანდრიტის შესახებ მთავრობა გამოძიებას შეუდგა; გელათისა და გოდოგნის მცხოვრებთ ეკითხებოდენ ამაზე, მაგრამ ღირსი პასუხიც მიიღეს. მიუხედავათ ამისა არქიმანდრიტი მაინც დასაჯეს და გააძევეს მონასტრიდან. ამ არქიმანდრიტის დანიშნვამდის, მონასტერი წარმოადგენდა ისეთ გაიძვერობისა და ცარცვა-გლეჯის ბანაკს, რომ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა ქრისტეს მოძღვრებასთან. ამ მონასტერს აქვს დიდი ტყე, საბალახე და სახნავ-სათესი ადგილები, ხოლო აქაურ გლეხებში ბევრი ურევია იმისთანები, რომელთაც ერთი ქცევაც აღარა აქვს, ბერები კი ამ სამონასტრო ადგილებით ისე სარგებლობენ, როგორც თვითონ სურთ. საწყალ გლეხებს ახდევინებენ საბალახეში, ტყეში და საყანეში. წარმოიდგინეთ, რომ ტყის შესავალთან ჭიშკარი იყო ჩამოკიდებული და ზედ კლიტე ედო, რომ გლეხები არ შესულიყვნენ შიგ და ფიჩხი არ გამოეტანათ, ან პირუტყვი არ შესულიყო საბალახოდ. განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად გლეხებმა რევოლიუციონურის გზით იწყეს ტყით სარგებლობა, მაგრამ ამ სარგებლობისთვის ორ სოფელ შუა უსიამოვნება ატყდა; იქამდის გამწვავდა საქმე, რომ გელათლებსა და გოდოგნელებს შორის სისხლის ღვრა უნდა მომხდარიყო მაგრამ ამ დროს ბედზე დაინიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელმაც მოსვლისა თანავე სხვასთან ერთად ამ არასასურველ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და ორი ერთმანეთთან საბრძოლველად გამზადებულ სოფლებთა შორის მშვიდობა ჩამოაგდო, მასცა რა გლეხებს ნება სამონასტრო ადგილებით თავისუფლად სარგებლობისა. მე შორსა ვარ იმ აზრზე, რომ მღვდლები და ბერები დავიცვა და ვაქო, მაგრამ კაცმა ცუდათ არ უნდა მოიხსენიოს, ვინც უნდა იყოს იგი, თუ რომ მას რამე კეთილი საქმე მიუძღვის ხალხის წინაშე.

ბევრი სარგებლობა მიუტანა არხიმადრიტ ნიკოლოზმა გლეხებს გათვითცნობიერებაში, მაგრამ ყველა მისი კარგი მხარეების აღწერა ზედ-მეტია, რადგან ეს ცეცხლზე, ნავთის მოსხმა იქნება. უსურვებთ არქიმანდრიტს, რომ სადაც უნდა იყოს იგი ყოველგან ხალხის მეგობარი ყოფილიყოს. მასთან არ შეგვიძლია ჩვენი უკმაყოფილება არ გამოუცხადოთ ეპისკოპოს ლეონიდეს, რომელიც გულ-ცივად მოეპყრო ამ საქმეს და წინ არ აღუდგა პატიოსანი ადამიანის უსამართლო დასჯას. „ავტოკეფალიები“ მშიერ გლეხ-კაცობას კუჭს ვერ გაუძღებს. ნუ დაივიწყებენ ხალხის ნაძირალი ბნელი ძალები, რომ მშრომელი ხალხი ღელავს და თუ არა დღეს, ხვალ მაინც პასუხი უნდა აგონ ხალხის სასტიკ სამსჯავროს წინაშე.

გოდოგნელი მუშა მ. ე. ლ—ე.

---

## ახალი ამბავი

—

21 ივლისს, უსაქმოთ დარჩენილ ინტელიგენტთა შორის მომუშავე, მე 8 უბნის გადამწერთა ზედამხედველმა ა. მჭედლიშვილმა აილო გამგეობის კასიდან მომუშავეთა დასარიგებლად 315 მან. ამ ფულიდან მისცა 32 მ. და 72 კ. რამოდენიმე მომუშავეს, დანარჩენი ფული კი გაიტაცა და სადღაც გადიმალა.

— ამ დღეებში შეადგინეს პროპესიონალური კავშირი ნალბანდებმა. მათ შეიმუშავეს მოთხოვნილებანი, რომელიც შესდგება 25 მუხლისაგან. ნალბანდებმა წარადგინეს მოთხოვნილებანი და თანაც დაამატეს, თუ რომ მათი მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ ისინი გაიფიცებიან.

— როგორც ეკატერინოდარიდან გვატყობინებენ, ვილაც უცნობებს უცემიათ ყაზარმის მახლობლად 2 სალდათისათვის. ხმაურობაზე გამოცვივნულან სალდათები, რომელთაც აუტეხიათ სროლა. სროლას

---

# ფელეტონი

—

## თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება *)

V.

მას შემდეგ, რაც ანთროპოლოგიის,—ესე იგი ადამიანის ფიზიოლოგიური განვითარების ისტორიისა და მის რელიგიათა და დაწესებულებათა განვითარების ისტორიის შესწავლა იწყეს სწორეთ ისე, როგორც სწავლობენ ყველა სხვა დანარჩენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, შესაძლებელი შეიქმნა არა მარტო ამ ისტორიის ახალი ნათელი მოფენა, არამედ სამუდამოთ თავიდან მოშორება მეტაფიზიკისაც, რომელიც სწორეთ ისე უშლიდა ხელს ამ შესწავლას, როგორც ბიბლიური ამბები ხელს უშლიდენ ამ ასი წლის წინათ დედამიწის ისტორიის, ანუ გეოლოგიის შესწავლას.

ამიტომ კაცს ეგონება, რომ, როცა სინტეტიურ ფილოსოფიის აშენებას ხელახლა შეუდგა მეცნიერების ახალ აღმოჩენებით აღჭურვილი ჰერბერტ სპენსერი, მას შეეძლო აეშენებია თავისი ფილოსოფია და არ ჩავარდნილიყო იმ შეცდომებში, რომლებმაც კისერი მოატეხია კონტს თავის „პოზიტივურ პოლიტიკაში“. და თუმცა სპენსერის სინტეტიური ფილოსოფია წარმოადგენს წინ გადადგმულს დიდ ნაბიჯს, — მასში უკვე ადგილი აღარ აქვს რელიგიას და წეს-რიგს (обрядъ),—მაგრამ ის მაინც სავსეა მსხვილი შეცდომებით თავის სოციოლოგიურ ნაწილში, ისე როგორც პირველი (კონტის „პოლიტიკა“).

საქმე იმაშია, რომ მივიდა თუ არა საზოგადოებათა ფსიხოლოგიამდის, სპენსერმა ვერ დაიცვა თავისი წმინდა-მეცნიერული მეთოდი და ვერ გაბედა დასტური ეთქვა ყველა იმ დასკვნებზე, რომლებამდისაც მიიყვანა ის ამ მეთოდმა. ასე, მაგალითად, სპენსერი თანახმაა, რომ მიწა არ უნდა იქმნეს კერძო პირების საკუთრება, რომლებიც სარგებლობენ ამ უფლებით და უმატებენ საიჯარო ქირას; ამით კი ისინი ხელს უშლიან სხვებს მოაცემინონ მიწას ის, რაის გამოღებაც მას შეუძლია გაუმჯობესებულ დამუშავების დროს, ან და ტყუილუბრალოთ აქვთ იგი გაჩერებული და იცდიან, როდის აიწევა მაზანდა სხვების შრომით. ასეთი წეს-რიგი, სპენსერის აზრით, არ არის სასარგებლო საზოგადოებისათვის, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე საფრთხე მოელის. ამას სცნობს ის მიწის შესახებ, მაგრამ მან ვერ გაბედა გაევრცელებია იგივე დასკვნა ყველა სხვა დაგროვებულ სიმდიდრეზე — მთამადნებზე (მადაროებზე), ნავთ-სადგურებზე და ქარხნებზე.

ან კიდევ, როცა ის წინააღუდგა სახელმწიფოს ჩარევას საზოგადოების ცხოვრებაში და ერთი თავისი წიგნი მონათლა ისეთი სათაურით, რომელიც ეთანასწორება რევოლიუციონურ პროგრამმას: „პიროვნება სახელმწიფოს წინააღმდეგ“, ნელ-ნელა იმით გაათავა, რომ, სახელმწიფოს მფარველობითი მოქმედების საბაბით, აღადგინა სახელმწიფო სრულიათ, როგორც არის ის დღეს, მხოლოდ კი შემოფარგლა ცოტათი იგი.

ესა და კიდევ სხვა წინააღმდეგობანი აიხსნება, ალბათ, იმით, რომ ფილოსოფიის სოციოლოგიური ნაწილი დამწიფდა სპენსერის თავში (ინგლისელ რადიკალების ზედგავლენით) ბევრათ უფრო ადრე, ვიდრე მისი ბუნებრივ-მეცნიერული ნაწილი, სახელდობრ 1851 წლამდი, როცა ადამიანის დაწესებულებათა ანტროპოლოგიური გამოკვლევა ჯერ კიდევ ნორჩი იყო. ამის გამო სპენსერი, ისე როგორც კონტი, თვით ამ დაწესებულებათა გამოკვლევას შეუდგა წინდაწინვე დამზადებული დასკვნებით. ეს კიდევ ცოტაა: მივიდა თუ არა საზოგადოებრივ ფილოსოფიამდის, ანუ სოციოლოგიამდის, მან იხმარა ახალი, მეტად არა-საიმედო მეთოდი, მსგავსებათა მეთოდი, ანუ მეთოდი ანალოგიათა, რომელიც, რასაკვირველია, არ იყო მისთვის საჭირო ფიზიკური მოვლენების შესწავლის დროს. ამ მეთოდით მან გაამართლა ბევრი წინდაწინვე აღებული დასკვნები. სინტეტიური ფილოსოფია, იმავე მეცნიერული მეთოდით აშენებული, როგორც ბუნებრივ-მეცნიერულ ნაწილში, ისე საზოგადოებრივ ნაწილშიაც, აქამდის, მაშასადამე ჯერ კიდევ არა გვაქვს.

ამას გარდა, სპენსერი ვერ არის ისეთი კაცი, რომ ვარგოდეს პირველყოფილ დაწესებულებათა შესასწავლათ. ამ მხრით ის მაღლა სდგას ბრიტანელებზე, რომელთაც საზოგადოთ სხვისი ყოფა-ცხოვრების ძალიან ცოტა გაეგებათ.—„ჩვენ ვართ რომის უფლების კაცები, ირლანდიელები კი—ჩვეულებრივ უფლების: ამიტომაა რომ ჩვენ ერთი მეორის არა გვესმის რაო“, შენიშნა ერთხელ კაი ჰკვიანმა და მცოდნე ინგლისელმა. ასეთი გაუგებრობით სავსეა ინგლისელების დაპყრობილებთან და „მდაბალ რასებთან“ ურთიერთ დამოკიდებულებათა ისტორია და

*) იხილე ნომერი მუშა № 40.

…ეებ·თ მიჰყოლია 5 კაცის და 1 …ველი.

— 25 ივლისს, დილის 6 საათზე …ვერ კავკასიის რკინის გზის უმთა…ეს სახელოსნოებისაკენ მინავალა …ეე სახელოსნოების ხელოსანი და…ოვსკი. როცა დაშკოვსკი გასწო…ებია ინიაშვილის სახლს, ვიღაც …უცნობებს რევოლვერი უსროლიათ …სთვის და მძიმეთ დაუჭრიათ. …როლელები მიიმალენ, დაჭრილი …მიხეილის საავადმყოფოში წაუ…ყვანიათ. როგორც ამბობენ დაშკოვსკი „პატრიოტი“ ყოფილა.

— კავკასიის ოლქის მზრუნველის გადაყენებულის ზავადსკის ადგილზე ასახლებენ ლაპატინსკის, რომელიც ეხლა მზრუნველის თანა…შეებობას ასრულებს, მარკოვს და …ორინსკი-შეხმატოვს.

— ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ 19 ივლისს, სამტრედიაში მი…ვალს დილიჟანს თავს დასხმიან 3 შეიარაღებული კაცი. წაურთმევიათ მგზავრებისთვის 217 მ. და მიმალულან.

— 21 ივლისს, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში გაიყიდა ბანკში დაგირავებული მამულები, რომლების პატრონებმა ხვედრი გადასახადი ვერ შეიტანეს. ასეთი მამული იყო 28; ამათგან გაიყიდა 21 ივლისს მხოლოდ 7, რომელმაც მისცა ბანკს 54,515 მ. ბანკის ვალი ყოფილა ამ მამულზე 49,341 მ. და 16 კაპ. და აგრეთვე დარჩენილი გადასახადი 2,910 მანეთი. დანარჩენი მამულების გაყიდვა არის დანიშნული 14 მარიამობისთვის, ვალი ბანკისა ამ მამულებზე ყოფილა 38,792 მ.

— როგორც შევიტყვეთ თბილისის პირველი გიმნაზიის დირექტორს ი. ე. გამყრელიძეს წინადადება მისცეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ; რადგან სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა მას 7 დღის გაუპტვახტაზე დაპატიმრება. თანაც მთავრობას გაუბრთხილებია ი. გამყრელიძე, უკეთუ ნებით არ გახვალ ძალით გადაგაყენებო. იმის ადგილზე ეხლავე ასახელებენ სვატობს.

— ქუთაისის გუბერნატორი იტყობინება, რომ ქუთაისის საპყრობილეში აღმოუჩენიათ თხრილი 3 საჟენის სიღრმით, რომელიც ეზოსაკენ მინავალა. თხრილის მიწა დღით გადანაქონათ ერთ ოთახზე ცეხგაუზისაკენ. იმ ოთახის პატიმრებს, რომელზედაც მიწა გადანაქონათ, შიშით ვერ გაუმჟღავნებიათ მთავრობისათვის პატიმრების მოქმედება.

— 25 ივლისს, 12 საათზე ვიღაც უცნობებს მჭრელი იარაღით მუცელში დაუჭრიათ გოროდოვოი კ. სედლეცი დამჭრელი ვერ ვერ შეუპყრიათ. მძიმედ დაჭრილი გოროდოვოი კი საავადმყოფოში წაუყვანიათ.

— 26 ივლისიდან თბილისის ფურცელი გამოდის ხაჩატუროვის რედაქტორობით. აქამდე ხაჩატუროვი მხოლოთ გამომცემელი იყო. ჯაბარს, რომელიც გაზეთს რედაქტორობდა უთანხმოება მოსვლია ხაჩატუროვთან გაზეთის მიმართულების და შინარსის გამო და თავი გაუნებებია რედაქტორებისთვის. ჯაბარი გაზეთს მარცხნივ და მარჯვნივ ეწეოდა და ხაჩატუროვი კი, თურმე, ისედაც მემარჯვნე გაზეთს სულ მარჯვნივ და მარჯვნივ მიერეკებოდა. ამას გამო წარმოდგარა უთანხმოება, რასაც ახალი რედაქტორობა მოჰყვა.

## ჭიათურის შავი ქვის მოსამსახურეთა ბიურო.

მოსამსახურების ბიურო აქ დაარსებული არის და ცდილობს ვითომ უადგილოდ დარჩენილ მუშებს რაიმე დახმარება აღმოუჩინონ, მაგრამ ერთ ამხანაგის არ იყოს რომელიც სწერს გაზეთი „მუშის“ № 33-ში, ისთე გახლავთ აქაც, მხოლოდ წერით ბევრს სწერენ კანდიდატებს და ალაგისთვის კი არ ზრუნავენ. იმის მაგივრად რომ ბიუროს მოთხოვოს კაცი რომელიმე ექსპარტიორმა ან და „პოდრაჩიკმა“, ჭიათურიდგან კაცისთვინ სადღაც სამეგრელოში და გურიაში გზავნიან დეპეშას, იქიდგან მოჰყავენ ხოლმე კაცი და ისთე ისრულებენ კაპიტალისტები თავიანთ სურვილებს. თუ ასთეა მაშ, ბიურო რა საჭირო იყო მიკვირს. ავიღოთ მაგალითი: აქ სჭიროდა კაცი ექსპ. ოვანეზოვს მოსამსახურედ, ამავე დროს იგივე ოკანეზოვთან ნამსახური კაცი ბიურომში იყო ჩაწერილი კანდიდატად და უცდიდა ეგებ სადმე ალაგი გამოჩნდეს სადმეო, თუმცალა გამოჩნდა ალაგი იქ სადაც ეს იყო ნამსახური, მაგრამ ოვანეზოვის მმართველმა გ. ლომაძემ ისთე მოაწყო საქმე ბიუროსთან რომ, კაცი გურიიდან ჩამოიყვანა, ალბათ მეზობელი იქნებოდა მისი, ან და მისი ნათესავი და მასთან ნამსახური კაცი რომელიც შესჩერებოდა ბიუროს, და ბიუროს იმედი ჰქონდა, ქე დარჩა ისევ მხოლოდ ჩაწერილ კანდიდატად. ამაზედ ზემოხსენებული ბიურო ხმასაც აღარ იღებს და კიდევ გ. ლომაძეს ამართლებენ. ამართლებენ მით რომ ოგანეზოვს ყავდა კაცი, ამ კაცმა დაანება ეხლა თავი ოგანეზოვს და მისს მაგიერ გურიიდგან ჩამოიყვანა კაცი და დააყენაო და ჩვენ არ შეგვიძლია დაუშალოთო, ამავე დროს ნუ დაგავიწყება რომ ეს თავ-დანებებული მოსამსახურე კანდიდატად ჩაეწერა ბიუროში; აღარ ვიცი სწორედ სად იმალება ძაღლის თავი *). აქ

*) აი სად არის ძაღლის თავი ჩამარხული: მუშათა სოლიდარობაში და თუ მოიძებნებიან შეუგნებელი მუშები, რომლებიც შორიდგან მოდიან ადგილობრივ ამხანაგის ადგილის დასაჭერად, იმას ისე უნდა მოექცეთ, როგორც ხულიგანს, რომელიც სოლიდარობას ჰყიდის ფულებზე. ბიურო ყოველთვის ბიუროკრატიულია, შრომის ბირჟა-კი უფრო ახლო სდგას მუშების ინტერესებთან.

…ეს ყოველ ნაბიჯზე გამოსჭვივის სპენსერის თხზულებებში. მას სრულიად არ შეუძლია იქონიოს რაიმე წარმოდგენა ველურ ადამიანზე, ან ისლანდიურ საგის „სისხლის მაძიებელზე“, ან კიდევ საშუალო საუკუნოების ქალაქების მღელვარე, ბრძოლით სავსე ცხოვრებაზე, მათი უფლებრივი წარმოდგენები (ПОНЯTIЯ) მისთვის სულ უცხოა; და ის ხედავს მათში მარტო „ველურობას“ მარტო „ბარბაროსობას„, მარტო „სისასტიკეს“.

ბოლოს,— და ეს ყველაზედ უფრო არის საჭირო,—მან, როგორც ჰექსლიმ და პრავალმა სხვამ, სრულიათ შეცდომით გაიგო „არსებობისათვის ბრძოლის“ აზრი. მასში მან დაინახა არა მარტო ბრძოლა ცხოვრების სხვა და სხვა სახეებს შორის (მგლები კურდღლებს სჭამენ, ბევრი ფრინველი მწერებით იკვებება და სხვ.), არამედ თავგანწირული ბრძოლაც საჭმლის გულისათვის ალაგისათვის მიწაზე. ყოველი სახის შიგნით, მის სხვა და სხვა ინდივიდებს შორის,—დაინახა ბრძოლა, რომელიც ნამდვილათ არ არსებობს ისე, როგორც მას წარმოუდგენია.

რამდენათ თვით დარვინია დამნაშავე არსებობისთვის ბრძოლის ასეთ გაგებისათვის, აქ ადგილი არ არის შევუდგე ამის გარჩევას. მაგრამ ის ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ როცა დარვინმა გამოსცა თავისი „ადამიანის წარმოშობა“ („სახეების წარმოშობის“ შემდეგ თორმეტი წელიწადი გავიდა), მას უკვე სულ სხვა ნაირათ ესმოდა ცხოვრებისათვის ბრძოლა. „ცხოველთა იმ სახეებს, სწერდა ის თავის ამ უკანასკნელ თხზულებაში, რომელთა შორის უფრო განვითარებულია ურთიერთ სიმპატიის და საზოგადოებრიობის გრძნობა, მეტი შანსი აქვთ გინაგრძონ თავისი არსებობა და დასტოვონ თავის შემდეგ მრავალ რიცხოვანი ჩამომავლობა“ იმ თავს, რომელიც უძღვნა დარვინმა ამ საგანს, შეეძლო საფუძვლად დაედებოდა სრულიად ახალსა და მეტად ნაყოფიერ შეხედულებას ბუნებაზე და ადამიანის საზოგადოებათა განვითარებაზე, რომლის მნიშვნელობა წინდაწინვე დაინახა უევეგეტემ. მაგრამ ის შეუმჩნეველი დარჩა. მხოლოდ 1879 წელს ვპოულობთ ჩვენ რუს ზოოლოგის კესლერის ერთ საუბარში ურთიერთ დახმარების და ცხოვრებისათვის ბრძოლის ნათლად გაგებას. მან მიგვითითა რამოდენიმე მაგალითზე და გვიჩვენა, რომ „სახის პროგრესიულ განვითარებისათვის ურთიერთ დახმარების კანონს ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ურთიერთ შორის ბრძოლის კანონს“. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ბიუხნერი თავისი წიგნით „სიყვარული“, რომელშიაც გვიჩვენა სიმპატიის მნიშვნელობა ცხოველთა შორის ზნეობრივ წარმოდგენების განსავითარებლად; მაგრამ როცა მან შემოიყვანა სიყვარული, სიმპატია ტყუილუბრალოთ შემოფარგლა თვითონვე გამოკვლევათა თავისი წრე. კესლერის შესანიშნავ დებულების დამტკიცება და განვითარება ადვილი აღმოჩნდა, მხოლოდ საჭირო იყო მიემართნათ ბუნებაზე უტყუარ დაკვირვებათათვის და დაწესებულებათა ისტორიისათვის, რომელიც ეხლახან ვითარდება. ერთმანეთის დახმარება არა მარტო მძლავრი იარაღია სახის ხელში ბუნების მტრული ძალები და სხვა მტრების წინაამდეგ არსებობისთვის ბრძოლის დროს, არამედ არის პროგრესიული განვითარების იარაღიც. უუძლურეს ცხოველთათვის ის უზრუნველ ჰყოფს ხანგრძლივობას (და მაშასადამე გონებრივ გამოცდილებათა დაგროვებასაც), გამრავლებას და გონებრივ პროგრესს. და ის ცხოველთა სახეები, რომლებიც უფრო ეტანებიან ერთი მეორის დახმარებას, არა თუ სძლებენ მეტს ხანს, არამედ თავშიაც უდგანან თავის კლასს (მწერებს, ფრინველებს, ძუძუიანებს) ფიზიკური და გონებრივი განვითარების უპირატესობით.

ბუნების ეს ძირითადი ფაქტი ვერ შეამჩნია სპენსერმა. არსებობისათვის ბრძოლა ყოველი სახის შიგნით, ერთი მეორისაგან ლუკმის გამოგლეჯა „კლანჭებით და კბილებით“,—ეს ტენნისონის „ბუნება, გლადიატორთა სისხლით შეღებილი“,—მან მიიჩნია ისეთ ფაქტად, რომელსაც არ ესაჭიროება დამტკიცება, ე. ი. მან იცნო აქსიომათ. მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეიგნო მან ცხოველთა შორის საურთიერთო დახმარების მნიშვნელობა და იწყო ამის შესახებ დაკვირვებათა და გამოცდილებათა შეკრება. მაგრამ თითქმის ეხლაც პირველყოფილი ადამიანი დარჩა მისთვის რაღაცა მხეცი, რომელიც მხოლოთ იმით ცხოვრობდა, რომ ართმევდა თავის მზგავსს უკანასკნელ ლუკმას პირიდან.

ცხადია, რომ რაკი ასეთი ყალბი სარჩული დაუდვა თავის ფილოსოფიის სოციოლოგიურ ნაწილს საფუძვლად, სპენსერს უკვე აღარ შეეძლო ისე აეგო სინტეტიურ ფილოსოფიის საზოგადოებრივი ნაწილი, რომ არ შეეტოპა შეცდომების მორევში.

ან—შინ.

(გაგრძელება იქნება).

დარწმუნებული იყავით ეჭვი შეეპარება კაცს ამ ბიუროს უვარგისობაში, მიტომ რომ, თუ კი ბიურო ცდილობს ალაგის აღმოჩენას ამა თუ იმ უადგილოდ დარჩენილ მუშებისთვის, მაშასადამე თვითონ ბიურო უნდა ხდიდეს ვალდებულად რომელიმე კაპიტალისტს ან „პოდრაჩიკს“, რომ კაცი დაიყენოს და არა მმართველი, აქ კიდევ რაღაცას იმართლებენ მგონი თავს ბიუროს წევრები მაგრამ, უსაფუძვლო თავის მართლებაა, რადგან თუ კაცი სჭიროდა ოგანეზოვს, ვინც მასთან ნამსახური იყო, და ვინც ბიუროში კანდიდატად იყო ჩაწერილი იმას უმფრო ეკუთვნოდა ჩემი ფიქრით ვინემ გურიიდგან ჩამოყვანილ კაცს. ასე რომ სურვილებს ისრულებენ, როგორც სურთ ისე ექსპარტიორების მმართველები და თვითონ ექსპარტიორები. ასე რომ ბიურო ბიუროდ რჩება, და ბურჟუა-კაპიტალისტების სურვილიც ისევ ისთე სწარმოებს, როგორც სწარმოებდა ბიუროს დაარსებამდე, და ეხლა აღარ ვიცი რაღას აკეთბს ეს ზემოხსენებული ბიურო და ბიუროს წევრები. კანდიდატებს ბევრს სწერავენ, მაგრამ, ალაგისთვის არავინ არ ზრუნავენ; თვითონ „პოდრიაჩიკი“ და ექსპარტორი რომ უნდოდეს კაცს არ მიკითხავს ბიუროს, დ̃ წევრები არ აქცევენ ყურადღებას იმას თუ, ვის უნდა კაცი და ვის არა. თუ არ დაავალე კაპიტალისტს, ისთე ხუთი კაცი რომ სჭიროდეს ერთის მეტს არ დაიყენებს. მე კი ჩემი მხრიდგან, თუ კი ბიუროს დავაარსებთ, მიზნისთვის უნდა ვზრუნავდეთ და ყოველ საშვალებას ვხმარობდეთ განვახორციელოთ ბიუროს რაიმე მიზანი.

მუშა პროკოპი.

## კორესპონდენცია

**თელავი.** 10 ივლისს, თელავის საყასბოების სალახეები (მხოცავები) და მწყემსები გაიფიცნენ. მწყემსებმა ნახირი, სალახებმა იარაღი ჩააბარეს აღებს და გამოუცხადეს: ვინემ 5 მანეთს თითოს არ მოგვიმატებთ საქმეს არ შეუდგებითო. ორი ყასაბის უარის გამო მაშინვე შეთანხმება ვერ მოხდა. 10 და 11 ივლისს თვითონ ხაზეინები ჰხოცავდნენ და ნახირს აძოვებდნენ. მწყემსებმა და სალახებმა შემდეგი მოთხოვნილება წარადგინეს: ხუთ-ხუთი მანეთის მომატება, ექვსი თვის ჯამაგირი, თუ აღებმა მათ დაუკითხავათ დაითხოვა ვინმე და ათი საათის სამუშაო დღე; ამასთანავე აიძულეს 12-ში დუქნები დაეკეტათ. 13 ივლისს მაზრის უფროსმა დაიბარა ორივე მხარე და მორიგება უბრძანა. ყასპებმა მოუმატეს ჯამაგირი (5 მ.), დაჰპირდნენ ერთი თვის ჯამაგირს თუ მათ დაუკითხავათ დაითხოვეს და ათი საათის სამუშაო დღე სალახებს. ამნაირად მწყემსებმა და სალახებმა გაიმარჯვეს. დუქნები 14 ამ თვეში გაიხსნა.

12 ივლისს, აქაურ საზოგადო ბიბლიოთეკის სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა, „ცხოვრების გარეშე“ საიდგანაც 144 მ. 91 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა. ამან გადაარჩინა ბიბლიოთეკა დაკეტვას. უმთავრესი შემოსავალი ბიბლიოთეკისა წარმოდგენებიდან და სეირნობიდგან ღარჩენილი ფულია. წლს კი ეს ვერ ხერხდებოდა, რადგან ბევრი წარმოდგენები და სეირნობა იმართებოდა. მომეტებულად ჰმართავდნენ ს.-დეკრატები. ის აზრიც ტრიალებს საზოგადოებაში რომ, რადგან ეს ბიბლიოთეკა, შაძლების და გვარად იძენს ყველა მიმართულების ჟურნალ გაზეთებს და ს.-დემოკრატებს კი არ სურთ, რომ მათი ლიტერატურის მეტი სხვაც არსებოდეს, ამისათვის არა ჰშველიან და ხელსაც კი უშლიან თუ შეუძლიანთ. სწორე გითხრათ დასაჯერებელიც არის მართალია ჩემ ამ ყოფნის დროს კი აშკარა არა მოუმოქმედებიათ.

16 ივლისს სასაფლაოზე განჯაში მოკლული მუშა გიორგი აივაზოვი, პანაშვიდი იქმნა გადახდილი. წარმოითქვა რამოდენიმე უფერული სიტყვა (ლიდერები და გენერლები იქ არ იყვნენ). შემდეგ რევოლიუციონური სიმღერებით გამოიარეს ქალაქი და სობოროში მოსწავლეებისაგან გამართული შიო ჩიტაძის პანაშვიდზედ დაესწრენ. პანაშვიდის წინ მღვდელმა სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდის შემდეგ ხალხი დაიშალა.

ვ. ჩ.

## რუსეთი

ახალი არჩევნები სახელმწიფო სათათბიროსი, როგორც ამბობენ მოხდება სეკტემბერში ან ოკტომბერში. სახელმწიფო სათათბიროს მოხელეებს დაითხოვენ და ახლები კი მიღებული იქნებიან ახალ შეკრილ პრეზიდიუმის მიერ.

(რავენსტვო)

ყოფილ წევრებმა სახელმწიფო სათათბიროსამ, სოლომკომ და დასედელნიკოვმა, მიიღეს წერილები, რომ გადაწყვეტილება იმათი მოკვლისა სისრულეში [იქნება მოყვანილი, თუმცა სათათბირო დათხოვნილიაო. (რავენსტვო).

პეტერბურგის საერობო გამგეობამ მიიღო, პეტერბურგის გუბერნიის გლეხებისაგან შუადგომლობანი, რომ ნება დართულ იქმნას მოწვეულ გლეხთა კრება, რომ გაარიკვლიონ მიზეზები რისთვის იქმნა დათხოვნილი სახელმწიფო სათათბირო. (რავენსტვო).

მიღებულ ცნობებით სამი კუნძული, მიხეილისა, არტილერიისა და ინჟინერისა, მეამბოხეების ხელშია, და ყოველი ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, კუნძულების აღებისა მთავრობის მიერ. (XX ვეკ).

როგორც „XX ვეკ“-ს შეუტყვია გვარდიის ეკიპაჟში დაწყებულა მოძრაობა.

პოლიციის დეპარტამენტმა მისწერა გუბერნატორებს, გამოუცხადონ სტამბის პატრონებს, რომ ძალათ დაჭერა სტამბებისა მთავრობის წინაამდეგი მოწოდებების დაბეჭდავისათვის, განსაკუთრებით ვიბორგის მანიფესტი სახელმწიფო სათათბიროს წევრებისა; სტამბები დახურულ იქმნებიან და სტაბის პატრონები კი დაპატიმრებული.

(რავენსტვო)

### წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „მუშის“ საშვალებით მათქმევინოთ ორიოდე სიტყვა; აი საქმე რაშია: დროებით ქ. ქუთაისში მცხოვრები ბესარიონ ლევანის ძე შარაშიძე ავრცელებს ქუთაისის მოქალაქეთა შორის ხმას, ვითომ მე როგორც პოლიციაში მოსამსახურე, „ჯაშუში“ ვიყო. მე პირადათ ვაცხადებ: არავითარი ჯაშუშობა მე არ ჩამიდენია და ჩემის თავის გასამართლებლად ვიწვევ ბ. შარაშიძეს სამედიატორო სასამართლოში სადაც უნდა დამიმტკიცოს „ფაქტებით, საბუთებით და არა ცარიელის სიტყვებით“ ეს აუტანელი ცილის წამება; წინაამდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები ბ. შარაშიძე ჩავთვალო ჯაშუშად *).

ნ. დ.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენ.).

**სიღნაღი.** უცნობმა პირებმა მოჰკლეს სოფლის მამასახლისი ალადაშვილი და ნოქარი პარსადანოვი.

*) ძლიერ კარგი კი იქნება, რომ ამგვარ საქმეებს ადგილობრივ, მოლაპარაკებით ან კამათით ისინი გადაწყვეტდენ ვინც ამგვარ გარემოებაში ვარდება, რადგან ჩვენ პატარა ფორმატის გაზეთში არ ეტევა ყველაფერი რაც საგაზეთოა ან არ არის საგაზეთო.

ალბათ თქვენი საქციელი არ არის ნათელი და პარდაპირი. ყველა უნდა ეცადოს ისე იმოქმედოს, რომ საეჭვო არაფერი მოიმოქმედოს და არავინ არაფერს აღარ დასწამებს და რომც დასწამონ ამაოდ ჩაუთვლის. დაეთხოვეთ საეჭვო სამსახურს.

რედ. შენიშ.

— 22 ივლისს, 30 უცნობი პირნი დეეცნენ პოჩტას, მოჰკლეს პოსტალიონი და დარაჯი, დასჭრეს 2 დარაჯი, გაიტაცეს 3642 მანეთი და ვეჯი 1060 მანეთისა. მიიმალნენ.

**ეკატერინოდარი.** ანაპის ბატალიონის ყაზარმებთან ხულიგანების ბრბომ, სცემა ორს ჯარის კაცს, და სროლა დაუწყო საშველად მოსულ ჯარის კაცებს. გამოწვეულ როტამ დაუწყო სროლა. ერთი მოკლულია და ხუთი დაჭრილი.

**ბახმუტი.** ქალაქ გარეთ ღამე მოხდა მიტინგი. დრაგუნებმა გაჰფანტეს შეკრებილი ხალხი. არიან დაჭრილნი.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი: წარსულ კვირას ჰელსინგფორში ხდებოდა მიტინგები, რუსთა რევოლიუციონერების, ფინლიანდის წითელ გვარდიისა და სვეაბორგის ციხის გარნიზონის მონაწილეობით რომელნიც რევოლიუციონერთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მიტინგების გარეშეც ხდებოდა კრებები რუსთა რევოლიუციონერ კომიტეტისა დ̃ წითელ გვარდიელების უფროსების მონაწილეობით. ღამე 18 ივლისს სვეაბორგის ციხეში დაიწყო აჯანყება, ნაღმოსან როტაში, რომელსაც, დილით იარაღი აჰყარეს სვეაბორგის ციხის ქვეეითა პოლკმა და დაპატიმრებულ იქმნენ კომენდანტის მიერ. ღამის 10 საათზედ მოხდა არეულობა საციხოვნო არტილლერიაში. გაიტაცეს თოფები და ტყვიის მტყორცნელები და დაიპყრეს მათ: მიხეილის, ალექსანდრეს, არტილმრიის და ინჟინერის კუნძულები. დუშინეს ზარბაზნები კომანდენტის და ლაგერის კუნძულებს, სადაც იმყოფებოდა ციხის კომენდანტი. 19 ივლისს მოხდა ერთგულ ჯარსა და მეამბოხეთა შორის, შეტაკება, რომელთაც შეჰკრეს მიმოსვლა ციხეს და ჰელსინგოფრს შორის. იმ დროს კრება ჰქონდათ რევოლიუციონურ კომიტეტს რომელთაც გამოუშვეს მოწოდება. წითელი გვარდილებისაგან მეამბოხეები იღებდნენ პროვიანტს.

19 ივლისს ლაგერის კუნძულზედ დასდგეს ბატარეა, საშველად გამოგზავნილმა ესკადრამაც დაუშინა მეამბოხების მიერ დაჭერილ კუნძულებს, რომელიც აღებული იქმნა, ქვეითა ჯარის და ფლოტის საშუალებით.

**გომელი.** აფთიაქის ქუჩაზედ, შარენშტეინის სახლში, გასქდა ყუმბარა. გაჩხრეკის დროს იპოვეს 5 ყუმბარა, ორი ბრაუნინგი და არალეგალური ლიტერატურა. მდგმურები დააპატიმრეს.

**პარიჟი.** „სირიის“ კაპიტანი ცოცხალია. იგი დაპატიმრებულია.

რედაქტორ გამომცემელი
მიხეილ დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობის.